რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 21 ივნისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" ბაზრაძე

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ სათამდე 5 მანეთი ნოღით ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ იბარებს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 77 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 77

ამხანაგებო! შეგვამძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმათ დაწუხრებულნი შვილები: ავთანდილ, კოლა, დანტე, გოგოლა, ქეთო და ფლორენცია კალანდაძენი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალება საყვარელის დედის

ტატო ეგნატეს ასულისა

რომლის დასაფლავება მოხდა კვირას, 18 ივნისს, ს. ხიდისთავში (გურია).

ახლო მომავალში დაიბეჭდება ნოე რამიშვილის ცნობილი წიგნი

„ისტორიული მატერიალიზმი"

ეს იქნება მეორე გამოცემა ავტორის მიერ შევსებული და შესწორებული.

წიგნი ეღირება დახლოვებით მანეთ ნახევარი. მსურველებმა ეხლავე უნდა დაიკვეთონ, ვინაიდგან იბეჭდება განსაზღვრული რიცხვი. აგენტებს და ორგანიზაციებს დაეთმობა 20% გამოკლებით

4—1 წიგნს სცემს კანტორა „განათლება".

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

1-ლ რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ.

ხსნის მუშათა კლუბს გოტეს სახლში.

წევრათ მიიღება პარტიის წევრები და თანამგრძნობები. მოწყობილობის შესაძენათ და მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ წევრი იხდის წელიწადში 10 მანეთს.

პირველ ხანებში გაიმართება: ლექციები, საჯარო-ბაასი სხვა და სხვა კითხვებზე, ბიბლიოტეკა, სახაიე და სინემატოგრაფი.

დაიჩქარეთ ფულის შემოტანა. კლუბი გაიხსნება მოკლე ხანში.

1 ლ რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ მ. პ.

ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი მეოთხე სამილიციო ნაწილისა

იმყოფება შუა ბაზარში (Армянскій баз.) ხოჯაფარუხოვის ქარვასლის პირდაპირ სადაც ძმ. რატიანების კანტორა არის. ყოველ დღე არიან იქ მორიგე კომიტეტის წევრები დილის 10—1 საათამდი და საღამოთი 6—8 საათამდი. სთხოვენ იმ ამხანაგებს და მოქალაქებს, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიებში მივიდენ იქ და შეატანინონ სიაში. იქვე ღებულობენ ახალ წევრებს პარტიის და ჰყიდიან პარტიულ ლიტერატურას.

ხუთშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე,

მე-4 რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. კლუბის დარბაზში

(ლორის-მელიქოვის ქ., ქალების პირველი გიმნაზია) დანიშნულია ლექცია შემდეგ თემაზე:

„მუნიციპალური პლატფორმა"

1) რუსულად წაიკითხავს ამხ. ს. გარიბოვი, 2) ქართულად—ამხ. ნ. ხომერიკი, 3) სომხურად—ამხ. ა. აზატიანი. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

3—2 მეოთხე რაიონულ კოლექტივის საკლუბო კომისია.

მოქალაქენო!

იუველირებო, გრავიორებო, მესაათეებო და ვერცხლეულობათა მოხელენო.

დღეს ოთხშაბათს, 21 ივნისს, საღამოს 7 საათზე, სახელოსნო უჩრავში შედგება კრება

წვრილი მესაკუთრეებისა.

განსახილველი საგნები: წესდების დამტკიცება, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა. კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. 1—1

წყლის განაწილება

თფილისის ქალაქის გამგეობამ, რამდენიმე კვირის წინ მოუწოდა მცხოვრებლებს, შეემცირებინათ წყლის ხარჯვა, რადგან უწყლობა საგრძნობელი გახდა და წყლის თანაბრად განაწილება სხვა და სხვა რაიონში ვერ ხერხდებოდა, ამ მოწოდებამ ვერავითარი ნაყოფი ვერ მოიტანა, ამიტომ ქალაქის გამგეობა იძულებული შეიქნა, თვითვე გაენაწილებინა წყალი ამგვარად:

მტკვრის მარცხენა ნაპირზე მოსახლე მცხოვრებნი (რიყის, „პესკის" გარდა), მიიღებენ წყალს დილის 4 საათიდან ცხრამდის და ორიდან 6 საათამდის.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მოსახლეთ წყალი გაუნაწილდებათ დილის 9—2-დის და საღამოს 6—11 საათამდე. ამავე დროს მიიღებენ წყალს რიყეზე (პესკი) მოსახლენი.

წყლის ახალი განაწილების წესრიგის დარღვევის თავიდან ასაცდენად ქალაქის გამგეობა სთხოვს მცხოვრებთ, ხელმომჭირნედ ხმარონ წყალი. 1—1

სავალდებულო დადგენილება.

პირველ საჭიროების საგნების რაოდენობის სისწორით გამოსარკვევათ, ქალაქის სასურსათო კომიტეტი ამით აუწყებს ყველა მეპატრონეებს საწყობების, პარტიობით მოვაჭრე მაღაზიებისა და დუქნებისა, რომ ამიერიდან დაწყებული 26 ივნისიდან ამა წლისა ისინი ვალდებულნი არიან კვირაში ერთხელ—ორშაბათობით წარმოადგინონ ცნობები თუ რამდენი პირველ-საჭიროების საგნები უწყვიათ მათ, მაგალითად: ხორბალი, ფქვილი, სიმინდი, ფეტვი, ყოველგვარი მარცვლეული, შაქარი, ჩაი, ერბო ძროხისა, ერბო სამარხვო, კარტოფილი, კომბოსტო, ხ ხვი, კვერცხი, ყოველგვარი თევზი, მარილი, სპიჩკა, სანთელი, საპონი, ქერის ჩალა, თივა, ზეთ, უმიხი, შვრია, შეშა, ხის ნახშირი და ნავთი.

ეს ცნობები უნდა წარმოდგენილ იქნას საუბნო სასურსათო კომიტეტის კანცელარიებში, განსაკუთრებულ ბლანკებზე, რომელიც უფასოთ იძლევა ამავე კანცელარიებში.

ვინც თავის დროზე არ წარმოადგენს ცნობებს, აგრეთვე ვ ნც ყალბ ცნობებს წარმოადგენს, დაისჯებიან თანახმად 29 მუხლისა (დებ. სასჯელის შესახებ, რომელიც იხმარება მომრიგებელ მოსამართლის მიერ).

3—1 თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

შაქარი

მოქალაქენო!

დღეს მთელი მხარე განიცდის შაქრის ნაკლებობას. მილიონიან არმიას აკლდება როგორც სხვა პირველ მოთხოვნილების სასურსათო საგნებ, ისე შაქარიც. ასი ათასი დაჭრილდაავადმყოფებული ჯარისკაცები, რომლებმაც მთელი თავიანთი ჯანმრთელობა სამშობლოს შესწირეს, ძლიერის ღონისძიებით საჭიროებს გაძლიერებულ კვებას. ზურგში მცხოვრებლებმა ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ შაქრის ხარჯვის შესამცირებლათ. ჩვენ უნდა ყოველთვის მზათ ვიყოთ შაქრის წილის ახალ შემცირებაზე. ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ მოთმინებით უნდა გადაიტანოს ეს დროებითი დანაკლისი.

მაგრამ არიან ისეთი პირები, რომლებიც თავიანთ კერძო პირადულ კეთილდღეობას საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებენ. სპეკულიაციის მიზნით ისინი ყოველივე ბოროტმოქმედებას სჩადიან, ბარათებით და ბინის წიგნებით ზედმეტი შაქრის მისაღებათ. ასეთი მტაცებლობა არ არის მოსათმენი.

ამისთვის ქალაქის კომიტეტი საჭიროთ სთვლის განაცხადოს, რომ ის პირები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ბოროტმოქმედებაში, გარდა იმისა, რომ ისინი სასამართლოში იქნებიან მიცემულნი, სამერმისოდ დაჰკარგავენ შაქრის მიღების უფლებას. ბინის წიგნების სისწორით შედგენის პასუხისმგებლობა ეკისრება თვით სახლის პატრონებს.

გვარი და სახელი ბოროტმოქმედებაში შემჩნეულ პირებისა გამოქვეყნდება ყველა ადგილობრივ გაზეთში.

თფილისის სასურსათო კომიტეტი.

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტგენშტეინის სახლი.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ზაქრაძის სახლი.

ექიმი კ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიქტორია(?) სახლის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქუთაისში

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და ს 6—8 დ. საათამდე

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

სათემო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10	კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10	„
3. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5	„
4. „ „ „ ქართ.	5	„
5. ძირს სოც. დემ. ბრაკეს რუს.	20	„
6. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20	„
7. ეგვიპე წიგნაკი ქართულათ	20	„
8. საყოველთაო საარჩ. უფლება რუს.	15	„
9. ოთხი ძმა ქართულათ	35	„
10. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20	„
11. აგრარულ პროგრ. კრიტიკა რუს.	15	„

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოც. დემოკრ. რუს.	20	„
2. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25	„
3. ნაც. კითხვა ნ. ჟორდანიასი ქართ.		
4. ს. დ. პ. სომხურათ და თათრულათ.		
5. დამფუძნებელი კრება თათრულათ.		

საჭიროა ასოთ-ამწყობნი

აქციდენციაზე მომუშავენი

ბათლომე კილაძის სტამბაში, ველიამინოვის ქუჩა, № 3.

ექიმი გ. გ. მეგრაბიანსი

ქალაქიდან გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შეწყვიტა.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სახალხო სახლში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

შეტევა და რევოლუცია.

სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ბრძანება გასცა და ჯარს საერთო შეტევისაკენ მოუხმობს. ეს სამხედრო ოპერაციების ხელოვნური დაჩქარებაა.

ბურჟუაზიული პრესა აღტაცებით შეეგებება შეტევის დაწყებას. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. იმპერიალისტებს ისევ მადა აღეძრათ. მათ კარგათ იციან, რომ ძნელია პირველი ნაბიჯი. თუ ის გამარჯვებით დამთავრდა, ხალხში პატრიოტული სულისკვეთება კვლავ გაღვივდება და ამ გზით იმპერიალისტთა წისქვილი აბრუნდება.

ჩვენ არ ვეხებით შეტევის სტრატეგიულ მხარეს. ეს ჩვენს საგანს არ შეადგენს. მაგრამ იბადება კითხვა: რას უქადის ეს რევოლუციას?

რევოლუციონური მოძრაობა გაიმარჯვებს ომის დაჩქარებითი დაბოლოებით და დამარცხდება ომის გაჭიანურებით.

ასეთია ჩვენი მდგომარეობა.

ბილეთ თუნდაც სასურსათო საკითხი, უმთავრესად ამ ნიადაგზე დგება მეფის მთავრობა, მაგრამ ის საფრთხეს რევოლუციასაც უქადის. ტახტის დაცემას ხელი შეუწყო ომის ველზე დამარცხებამ. მაგრამ ეს ძალაში რჩება მიმდინარე მომენტისთვისაც. საკმარისია მარცხი ფრონტზე, რომ მას მოჰყვეს ბნელი ძალების ამოძრავება. ისინი აქამდე თავიანთ კუნჭულებში მიიმალენ და ხელსაყრელ მომენტს უცდიან, რომ რევოლუციას ეკვეთონ და მონარქიის რესტავრაცია სცადონ.

მერე რა გზას ადგება სამხედრო მინისტრი? ის ცდილობს ომის კვანძის გაჭრას ხმლის მეოხებით. ეს აბსურდია. სამი წლის ომმა ნათლად აჩვენა, რომ ეს ფუჭი ოცნებაა. იმპერიალისტები უძლური არიან ომი დაასრულონ, შეტევით იქნება თუ „თავდაცვით". ეს საუკეთესო საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა. და ერთად ერთი ფაქტორი მშვიდობიანობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის შეწყვეტის, ვინც ამას იწყებს, მას ამ სამი წლის ამბებისათვის ანგარიში ვერ მიუცია.

ამ ცოტა ხანში სტოკჰოლმის სოციალისტური კონფერენცია შეიკრიბება. მასზე დასასწრებლათ დელეგატებს ყველა ქვეყნიდან გზა ვერანი ან ჭეშმარიტი გზა ზავის ჩამოსაგდებათ. მერე ნუ თუ ამხანაგთ შეტევა ხელს შეუწყობს სოციალისტთა მოქმედებას ზავის საერთო პირობების ნიადაგზე? სრულიადაც არა. ომის ველზე შეტაკება მუდამ იწვევს შოვინიზმის გაღვივებას და ერთა შორის უთანხმოების გაღრმავებას. ამასვე უნდა ველოდეთ ამ შემთხვევაშიც.

სამხედრო მინისტრმა შეტევის ბრძანება გამოსცა. საერთაშორისო დემოკრატია ვალდებულია ზავის დაჩქარებით ჩამოსაგდებათ იბრძოლოს და მას ყოველნაირათ ხელი შეუწყოს.

კავკასიის გლეხთა ყრილობა.

გუშინ—20 ივნისს, თფილისში გაიხსნა მთელი კავკასიის გლეხთა ყრილობა. აქ თავი მოიყარეს სხვადასხვა ერების, სხვადასხვა ეროვნების გლეხკაცობამ და საერთო ძალით ცდილობენ მოაგვარონ საჭირბოროტო ეკონომიურ და პოლიტიკური საკითხების გარკვევა გაშუქებას.

ჩვენს გარემოება გლეხკაცობას აქვს თავისი სპეციფიური ინტერესები—როგორიც არის მაგ. მიწის საკითხი, მაგრამ ამ მწვავე საკითხის გადაჭრა და თავისი ეკონომიური ინტერესების დაკმაყოფილება არ შეუძლიან უკეთუ იგი მუშათა კლასთან შეთანხმებულათ არ იმუშავებს და მას გვერდში არ ამოუდგება.

გლეხკაცობას მიწის საკითხი დიდი ხანია აწუხებდა, დიდი ხანია მიწის სივიწროვე და მიწის მფლობელობის ფეოდალური სისტემა სულს უხუთავდა, მაგრამ მან როგორც გლეხკაცობამ, საკუთრათ და დამოუკიდებლათ ვერ შესძლო მისი გადაჭრა.

როცა რუსეთის მუშათა კლასის მთავარი ხელმძღვანელობით და ჯარის დახმარებით დიდმა რევოლუციამ იფეთქა და იგი დღითიდღე ღრმავდება, მხოლოდ ასეთ პოლიტიკურ პირობებში გლეხკაცობას საშუალება მიეცა მიწის საკითხი ფართოთ დაესვა და იგი დროის შესაფერით გადაეწყვიტა.

მუშათა კლასი ერთად-ერთი რევოლუციონური კლასია, რომელიც წვრილ გლეხკაცობის ბუტანელ მდგომარეობას იზიარებს, ერთად-ერთი კლასია, რომელმაც შექმნა ისეთი პოლიტიკური ვითარება, როცა საუკუნოებით შემუშავებული მიწათ მფლობელობა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური სიდუხჭირე მინიმუმამდის მიდის და ძველი ფეოდალური ურთიერთობა საბოლოვოთ ისპობა. მუშათა კლასმა გლეხკაცობასთან საერთო წყლო, საეკლესიო და სათავადო მამულების კონფისკაცია წამოაყენა და იგი უსასყიდლოთ ადგილობრივი დემოკრატიული თვითმართველობების მეოხებით გლეხთა შორის განაწილდება.

ეს—ის მთავარი და სპეციფიური საკითხი, რომელსაც მთელი რუსეთისა და კავკასიის გლეხკაცობა მთელი საუკუნის განმავლობაში უტრიალებდა და რომელშიაც მხარს უჭერდა ქალაქის პროლეტარები

მისი საბოლოოთ გადაჭრა კი შეიძლება დამფუძნებელ კრების მეოხებით, სადაც მთელი რუსეთის რევოლუციონური ხალხის წარმომადგენლები თავს მოიყრიან.

ამიტომ საჭიროა დასახელებულ კრებაზე რაც შეიძლება რევოლუციონური ხალხის

ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის!

მტრის წარმომადგენლები იქნეს გაგზავნილი. უკანასკნელი კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა კლასი და გლეხკაცობა ორგანიზაციულათ დაირაზმება, როცა მათ შორის პოლიტიკური შეგნება-გათვითცნობიერება გაღრმავდება.

გლეხთა საერთო ყრილობა გლეხთა გათვითცნობიერებისა და სოლიდარობის საუკეთესო საშუალებაა. აქ მრავალი კუთხის გლეხკაცობა თავს იყრის, ისინი საერთო საჭირბოროტო მიწის საკითხის შესახებ იმსჯელებენ, ერთ გვარ დადგენილებას გამოიტანენ, მხოლოდ კავკასიის გლეხთა ყრილობა იმით არის საყურადღებო, რომ აქ იკრიბებიან სხვადასხვა ერის გლეხკაცობა. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ აქ ეროვნული შუღლი და უთანხმოება, რომელსაც შოვინისტ-ნაციონალისტები აღვივებენ ქრება და ისინი ერთად, სოლიდარულათ საერთო საქმეს ეკიდებიან. კავკასიის გლეხკაცობამ ამ რევოლიუციის ხანაში უკუაგდო ნაციონალური შუღლი და ისინი დარაზმულათ გამოდიან საერთო საქმეების გადაწყვეტა—გარკვევის საქმეში.

ვუსურვებთ მათ სოლიდარულ და რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებას და იმედია ისინი ამ მოვალეობას პირნათლათ შეასრულებენ და გვერდში ამოუდგებიან იმ კლასს, რომელიც ერთათ-ერთი თავდებია რევოლიუციის გამარჯვების.

პრესა.

ფედერალისტები, როგორც ეტყობა, უკვე შეუდგნენ საარჩევნო აგიტაციას. „სახ. ფურცელში“ დიდი წერილია მოთავსებული, რომელშიც ფედერალისტებს გამოუფენიათ მთელი თავისი დემაგოგიური დოვლათი. წერილში ავტორი ვითომდა ხსნის, როგორ უყურებენ სოც.-დემოკრატები გლეხობას. პასუხის გაცემა ყველა იმაზე, რაც წერილშია მოყვანილი, შეუძლებელია. მაგრამ რამდენიმე მაგალითის მოყვანა კი საჭიროა.

„სოციალ-დემოკრატებს არ ემეტებოდათ, გლეხებისათვის მიწა; მიწა არ ემეტებოდათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ გლეხი თუ არ გაპროლეტარდა, თუ სრულებით არ დაჰკარგა საკუთრება—მიწა, ისე სოციალისტი არ გახდებაო. გლეხი მიწისკენ მიიწევდა, სოციალ-დემოკრატი აკავებდა, უშლიდა: მიწა დაგღუპავსო“.

ასე „ლამაზათ“ გვიგზნით ფედერალისტებს ჩვენი პროლეტარიზაციის თეორია. როდესაც რომელიმე ბნელი აგიტატორი სოფელში ლაპარაკობს ფედერალისტების ქარიშხალი მიფე უნდათ, ფედერალისტები ამაში სოც.-დემოკრატებს ადანაშაულებენ ბოლოს, თუმცა სოც.-დემოკრატები ამხელენ პასუხისმგებლობას ასეთი აგიტაციისას ჩვენს თავზე არ ვიღებთ. როგორ უნდა შევხედოთ ამნაირ ქორებს, რომელსაც ავრცელებს მოწინააღმდეგების შესახებ პარტიული ორგანო? ეს ქორები რომ ბნელი აგიტატორის მიერ ვრცელდებოდეს, კიდევ არაფერს ვიტყოდით, მაგრამ პარტიულ ორგანოს კი უნდა რცხვენოდეს; მაგრამ სხვა მაგალითები მოვიყვანოთ.

„ბევრი იტრიალეს სოციალ-დემოკრატებმა, ბევრი უჩიჩინეს გლეხებს: მიწა დაგღუპავთო, მაგრამ გლეხობამ მაინც თავისი არ დაიშალეს: „მიწა და მიწაო, მიწა მიწის მუშებსო“.

ან კიდევ ქვემოთ: „სოციალ-დემოკრატები ასეთ ახირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან: ერთის მხრით უნდათ მოიმხრონ გლეხები, მეორეს მხრით წინააღმდეგნი არიან გლეხების. ეს იმიტომ მოსდით, რომ ყალბი შეხედულობა აქვთ გლეხებზე“.

ამ სტრიქონების ავტორი ან სულმთლად ბეცი უნდა იყოს, წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს იმ საგანზე, რომელზედაც ლაპარაკობს; ან იგი ყველა ხერხს მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში უნდა მისდევდეს. ჩვენ უფრო პირველი მიზეზით ვხსნით ზემოთ მოყვანილ ქორების გავრცელებას. რომ ეს ასეა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ავტორს სოც.-დემ. პროგრამაზედაც კი არა აქვს სწორი წარმოდგენა, მაგ., მან არ იცის, როგორი აგრარული პროგრამა იყო მიღებული სოც.-დემოკრატების მიერ 1903 წელს. იმას გონია, რომ 1903 წლის პროგრამაში არ იყო შეტანილი სამონასტრო, საეკლესიო, სახაზინო და სხვა მიწების კონფისკაცია.

„სწორედ ორი წლის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა უარჰყვეს ასეთი დადგენილება და 1905 წელს გამოაცხადეს: ჩვენ მხარს დავუჭერთ გლეხობის ყოველივე სარევოლიუციო მოქმედებას, რომელიც კი გააუმჯობესებს მის ცხოვრებას, თვით მემამულეების, ხაზინის, ეკლესია-მონასტრების და მეფის გვარეულობის მიწების ჩამორთმევასაცო“.

უვიცმა ავტორმა რომ დასწეროს ამნაირი სტრიქონები, ეს კიდევ უბედურება არ არის, მაგრამ როცა პარტიული ორგანო ამ ქორებს ბეჭდავს, ეს კი საპატიებელი არ არის.

ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! საარჩევნო კამპანია დაიწყო. ჩვენმა პარტიამ ყველა სამილიციო უბნებში უკვე მოაწყო საარჩევნო კომიტეტები. მათი ადრესები გაზეთებში გამოცხადებულია.

მარა ნუ იფიქრებთ, ამხანაგებო, რომ ამით ყველაფერი გაკეთებულია. არა, საჭიროა ყველამ მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ბრძოლაში. საჭიროა პარტიის ყველა წევრი აქტიურათ ჩაერიოს ამ ბრძოლაში.

რა უნდა ვქნათ ამისთვის? გამოცხადდით თავ-თავის უბნის საარჩევნო კომიტეტში სამუშაოთ. აკეთეთ ვისაც რა შეგეძლოთ და როგორც შეგეძლოთ, მარა აკეთეთ ორგანიზაციულათ, მწყობრათ. შეუკავშირდით აუცილებლათ საარჩევნო კომიტეტს. არ გამოსტოვოთ მის მიერ მოწვეული კრებები. უნდა შევკრათ ძლიერი საარჩევნო ორგანიზაცია და შევუტიოთ მოწინააღმდეგეთ. ბურჟუაზიული პარტიები ირაზმებიან. ბევრი გუშინდელი მტერი დემოკრატიისა, დღეს რევოლიუციონერსა და სოციალისტს ირქმევს და ლამაზი სიტყვებით ცდილობენ ამომრჩევლები მოხიბლონ თქვენ გმართებთ დიდი მუშაობა, რომ ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს ნიღაბი ჩამოხადოთ და დემოკრატიას მათი ნამდვილი სახე დაანახოთ.

ვინ იზამს ამას, თუ არ პარტიის წევრი, თუ არა ის პირი, რომელიც შეგნებულათ შეუერთდა მუშათა პარტიას?

ამხანაგებო! ნუ დაივიწყებთ, რომ პარტიის წევრობა თქვენ გავალებთ მუშაობას, ბრძოლას თავდადებულს. გადით ყველამ მასაში, ხალხში; გაიტანეთ ჩვენი წითელი დროშა, ჩვენი დიდებული იდეალი. დაუპირდაპირეთ ის ბურჟუაზიული პარტიების დროშასა და იდეალს.

პარტია მოგიწოდებთ თქვენ გულზე ხელდაკრეფილი არ დარჩეთ. გაჩაღებულია ხელჩართული პოლიტიკური ბრძოლა და თქვენ არ შეგიძლიათ გარეშე მაყურებლის როლი ითამაშოთ.

ნურავინ იფიქრებს, რომ მისი გასაკეთებელი საქმე სხვამ გააკეთოს.

ამიტომ მიაშურეთ საარჩევნო კომიტეტებს. დაირაზმეთ ყველამ: ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ. ნურავინ დარჩება ბრძოლის გარეშე!

პარტიის წევრნო და თანამგრძნობნო! ჩაერიეთ საარჩევნო ბრძოლაში, ხელი შეუწყვეთ მუშათა პარტიის გამარჯვებას!

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 18—19 ივნისი).

კერენსკის დეპეშა.

პეტროგრადი. მინისტრთა თავმჯდომარეს თავ. ლვოვს სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ დეპეშით მიმართა, სადაც აცნობებს, რომ 18 ივნისს რუსეთის რევოლიუციონურმა მხედრობამ გერმანელებს შეუტია და გაიმარჯვა კიდეც. კერენსკი სთხოვს დაუყოვნებლივ ნება მისცეს მას რუსეთის თავისუფალი ხალხის სახელით სახელოვან ჯარს, რომელმაც 18 ივნისის ბრძოლაში თავი ისახელა—მიართვას წითელი დროშები და დაარქვას „18 ივნისის პოლკები“. მინისტრთა თავმჯდომარე ლვოვმა მიულოცა კერენსკის ბრწყინვალე გამარჯვება, ნება დართო წითელი დროშები უძღვნას პოლკს და „18 ივნისის პოლკი“ დაარქვას.

ცენტრალური რადის დადგენილება.

კიევი. ცენტრალური რადის კომიტეტმა დაადგინა დაარსოს გენერალური სეკრეტარიატი, რომელმაც უნდა განაგოს შინაური, ფინანსები, სასურსათო, მიწების და სხვა საქმეები.

ბოლშევიკები არ სცხრებიან.

მოსკოვი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა რაიონული მიტინგები მოაწყო. ბოლშევიკთა ერთი ჯგუფი გაემართა ქალაქის მთავარ ქუჩაზე და თან პლაკატები მიჰქონდათ შემდეგი წარწერით: „პური, ზავი და თავისუფლება“, „ძირს 10 კაპიტალისტი მინისტრი“, „მთელი ძალაუფლება ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს“, „ძირს შეტევის პოლიტიკა“. ამ გამოსვლას ხალხი გულისწყრომით შეხვდა.

გაფიცვა.

ჰელსინგფორსი. დაიწყო სტამბებში გაფიცვა. გარდა რუსულისა არც ერთი გაზეთი არ გამოსულა.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 18 ივნისს დაწყებული შეტევის შესახებ მომქმედი ჯარიდან შემდეგი ცნობა მოვიდა: მე 19 არმიისკი კორპუსმა და მეექვსე ფინლიანდიის დივიზიამ იერიში მიიტანა მტერზე და თხრილების ორი რიგი დაიჭირა. კონიუხის ჩრდილოეთით მტრის კონტრშემოტევამ უნაყოფოთ ჩაიარა. ზოგიერთი ნაწილები საგრძნობლათ დაზარალდნენ, ბევრი ოფიცერი დაკარგეს. ფრონტის დანარჩენ ნაწილებში ჩვენი არტილერია მტრის თხრილებს ანგრევს. მტერი ზარბაზნების ძლიერი სროლით აძლევს პასუხს. მეექვსე არმიისკი კორპუსის ნაწილმა მაღა სოლნია გორაზე გამაგრებული თხრილები და სოფ. კონიუხი დაიჭირა. დაჭერილია აგრეთვე კონიუხის სამხრეთით ყველა თხრილები. მრავალი ტყვე და ნადავლი ხელში ჩაიგდეს. ჯარმა ს. შიბალინი და ლისინსკის ტყეში მტრის სამი პირი გამაგრებული თხრილი დაიჭირა. ბრზეჟანსკის ტყესთან მტერი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს რუსის ჯარს. ქოლწუჯკის ჩრდილოეთ დასავლეთით ქვეითა ჯარის ნაწილმა გამაგრებულ თხრილების ორი რიგი დაიჭირა. ს. პოსუხოვიდან მტერი ზარბაზნებს ისვრის. პოტუტორის სამხრეთ-დასავლეთით სიბირსკის კორპუსის ნაწილმა თხრილების ორი რიგი დაიჭირა. მ. ჩიშუკის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჯარმა თხრილების სამი რიგი დაიჭირა. მრავალი ტყვე და ტყვიის მფრქვეველები ჩაიგდეს ხელში.

ახალი ამბები

სანატორიუმები განთავისუფლებულ პოლიტიკურთათვის არსდება ბორჯომში და აბასთუმანში. ამ საქმეში თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ეხმარება სრულიად რუსეთის საერობო კავშირის ამიერ-კავკასიის კომიტეტი. აბასთუმანში სანატორიუმი დაარსდება ჭლექიანთათვის, ბორჯომში—შინაგანი ავადმყოფობისა. ვისაც სანატორიუმში სურს მოთავსება, უნდა მიმართოს განცხადებით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებულ სასანატორიუმო კომისიას.

◆ **თფილისის მეეზოვეებმა და ოჯახებში მოსამსახურეებმა** მოთხოვნანი წარუდგინეს თავიანთ პატრონებს. მოითხოვენ ჯამაგირების მომატებას, ერთი წლის სამსახურის შემდეგ ერთი თვით დასვენება ჯამაგირის შენახვით, ავადმყოფობის დროს უფასო წამლობას და ჯამაგირის მიცემას 3 თვის განმავლობაში, ზრდილობიან მოპყრობას, სიტყვა მეეზოვის ნაცვლად შემოღებულ იქნას სიტყვა სახლის დარაჯი; მეეზოვეთა მოთხოვნანი შესდგება 15 მუხლისაგან, ოჯახებში მოსამსახურეთა—21 მუხ. ორი კვირის ვადაში მოთხოვნათა დაკმაყოფილებას მოითხოვენ. პირი მოთხოვნათა გადაეცემა მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

◆ **სად. მცლანში** (კახეთის გზა). 19 ივნისს, დღის 2 საათზე, თელავიდან მომავალ მატარებლის ფოსტალიონმა მოჰკლა სოფელ ბოდბის მცხოვრები გლეხი ალექსი ლეკიაშვილი. მიზეზი მკვლელობისა შემდეგი იყო: ლეკიაშვილი სადღაც მიდიოდა. სამგზავრო ვაგონში შესვლის მაგიერ ფოსტის ვაგონზე ავიდა, ფოსტალიონმა გაუფრთხილებლათ ლევოლვერი დაახალა და მგზავრმაც იქვე დალია სული. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია. ჯარისკაცები საფოსტო ვაგონს შემოერტყნენ და მატარებელი გააჩერეს. მოითხოვეს ფოსტალიონის გამოყვანა ვაგონიდან და იქვე დახვრეტა სურდათ. ზოგიერთი პირების ჩარევამ ფოსტალიონი აცდინა სიკვდილს.

◆ **სპარსეთის საზღვრის დახურვის** შესახებ შუამდგომლობა აღძრა ბაქოს საგუბერნიო კომისარმა ილიუშკინმა. ამ მიზნით ის სთხოვს კავკასიის ჯარის შტაბს, რათა საგანგებო ჯარის ნაწილი დაინიშნოს. საზღვრის დახურვის აუცილებლობას ასე ხსნის: სპარსეთიდან ჩვენში შემოდის შავი ჭირი, აქედან თურმე გააქვთ პური.

◆ **ბათუმის ოლქის რწმუნებულებათ** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დანიშნა კ. გოგოლაძე და რ. ნიჟარაძე. საუფლისწულო მამულების კომისარებათ კავკასიაში საგანგებო კომიტეტმა დანიშნა აგრონომები მ. ქარცივაძე და რ. დანელოვი.

◆ **სასტუმრო-კლუბების და რესტორანების მსახურთა** პროფესიონალური კავშირის გამგეობა სთხოვს სასადილოების მსახურ ამხანაგებს და მათ თანამოძმეებს შეუერთდნენ ამხანაგებს პროფესიონალურ კავშირში ჩაწერით წევრებათ და გაამაგრონ თავიანთი პროფესიის კავშირი, რომ ჩვენი პატრონების წინაშე დაქსაქსულ ძალას არ წარმოადგენდეთ.

◆ მე 11 ტი ლაზარეთში მოსამსახურეთა შორის კონსტანტინე იავნის ძე ჩხატლძემ შეაგროვა 31 მანეთი და 95 კაპ. გაფიცულ მრეცხავ-მუშათა სასარგებლოდ; რადგან ეს გაფიცვა დასრულდა, ფული გადაეცა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს განკარგულებაში საკუთარი საჭიროებისათვის.

კრებები და მიტინგები

დღეს, საღამოს 5 ს. თფილისის ორგანიზ. რ. ს.-დ. მ. პარტიის, მეორე რაიონის ბიუროში (ახალხიდის ხლ.) დანიშნულია შეერთებული სხდომა ამ რაიონის კოლექტივის პრეზიდიუმისა და მეორე რაიონში მომუშავე ყველა პროპაგანდისტებისა. ამხანაგებს სთხოვენ უსათუოთ დაესწრონ.

დღეს, საღამოს 5 საათზე ავჭალის აუდიტორიაში კოლოფების მკეთებელ მუშათა საზოგადო კრებაა. დღის წესრიგი: შეერთება სტამბის პროფესიონალურ კავშირის თუ ფაბრიკის მუშებთან, მიმდინარე საკითხები.

— საღამოს 5 საათზე ხეტყის ქარხნების მუშათა კრებაა. (დიდი მთავრის ქუჩა № 12.)

— 22 ივნისს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრებაა. თემა: „დემოკრატიული რესპუბლიკა“. დაიწყება საღ. შვიდ. ნახევარ საათზე.

— 25 ივნისს დილის 9 საათზე ორთაჭალაში ელდორადოს ბაღში მთელი ქალაქის მებაღე მუშების კრებაა. რომელსაც იწვევს დროებით არჩეული კომისია. კრება აირჩევს პროფესიონალური კავშირის ბიუროს. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ კრებას.

პროვინციის ქრონიკა.

ს. უჩხოვი (გურია). პარასკევს, 28 აპრილს აქ შედგა ქალთა კავშირის „სინათლე“ს დამფუძნებელი კრება. კრებამ გაარჩია შემდეგი საკითხები: წევრების მიღება, საწევრო გადასახადის განსაზღვრა და ხელმძღვანელ გამგეობის არჩევა. წევრათ მიიღებიან ისეთი პირნი, რომლებიც თავიანთი წარსულით ჩირქს არ მოსცხებენ „სინათლეს“. საწევრო გადასახადი კრებამ დაადგინა აბაზი. შემდეგ გამგეობის წევრათ აირჩიეს 7 ქალი. გამგეობის თავმჯდომარეთ: ანეტა კანჯარაძე, ამხ. ა. ქალდეგიშარისა, მდივნათ ო. ბარამიძისა და ხაზინდრათ ანუშკა სალუქვაძე. აგრეთვე გადაწყვიტეს პოლიტ. სკოლის დაარსება. მეცადინეობა იქნება ხუთშაბათობით, ნაშუადღევს პირველ საათიდან, სამინისტრო სკოლის დარბაზში.

ქ. სოხუმი. კვირას 4 ივნისს შესდგა საერთო კრება ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირისა. კრებამ დაამტკიცა წესდება კავშირისა. აირჩია გამგეობა, სარევიზიო კომისია და გამგეობის წევრნი.

დ. ხონი. დ. ხონის და მისი რაიონების მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანი ყრილობა თავის აღშფოთებას და ენერგიულ პროტესტს უცხადებს ავსტრო-უნგრეთის თვითმპყრობელ მთავრობას პროლეტარიატის საუკეთესო შვილის და თავგანწირულ მუშაკის ფრიდრიხ ადლერისათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის გამო. კრების თავმჯდომარე მ. ჭავჭანიძე.

თიანეთი. 16 ივნისს, მოხდა თიანეთის რაიონის გლეხთა რწმუნებულების კრება. კრებას დაესწრო 23 სოფლის წარმომადგენელი. პირველათ გაიმართა თათბირი მიწის საკითხის შესახებ. ილაპარაკა ყველა რწმუნებულმა და გარდა ორისა, ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ წვრილი საკუთრება ხელუხლებელი დარჩეს, მხოლოდ დიდი მამულების კონფისკაცია მოხდესო. კრებამ ორი დელეგატი აირჩია, ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობაზე დასასწრებლათ.

სამეგრელო. სამეგრელოს გამოცოცხლება ეტყობა. ყველგან, ყოველ კუთხეში სოც. დემ. პარტიულ ორგანიზაციებს აწყობენ, რის გარშემო საზოგადოების ფხიზელი ელემენტები იკრიბებიან. ერთად-ერთი საზომი სამეგრელოს გლეხთათვის მიწის შესახებ მუნიციპალიზაციაა. ზოგიერთ სოფლებში მოაწყო სისტემატიური მეცადინეობა პარტიის წევრთათვის და არა წევრთათვისაც. ქალებიც ბლომათ ეწერება.

მარტვილი. 16 ივნისს მარტვილის საზოგადოების კრებამ მიიღო რა მხედველობაში დღეობების გამანადგურებელი მხარე, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, დაადგინა: არ იქნეს 29 ივნისს პეტრეპავლობის დღესასწაული გადახდილი.

სოფ. უჩხოვი (გური). 28 მაისს აქ დაარსდა სალიტერატურო წრე. მეცადინეობა ყოველ დღე იქნება. წრის მოსაწყობათ არჩეულ იქნა ხელმძღვანელი გამგეობა.

ეროვნული საკითხი ამიერ კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციათა მეექვსე ყრილობაზე.

(ნოე ჟორდანიას ტეზისები).

1) ნაციონალური საკითხის გადაჭრა ამიერ კავკასიაში შესაძლებელია მხოლოდ ამიერ კავკასიის საზომით, ე. ი. ამიერ კავკასიის ყველა ერებმა უნდა გამოიმუშაონ ერთი საერთო ნაციონალური პროგრამა. მხოლოდ ამ პირობით შესაძლებელია თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში მინიმუმამდე შევამციროთ ერებს შორის არსებული უთანხმოება და შუღლი, რომელიც ხელს უწყობს პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნების დაბნელებას და ასაზრდოებს ყოველგვარ ნაციონალისტურ მისწრაფებებს.

2) ამიერ კავკასიაში მოსახლეობს სამი მთავარი ერი: ქართველები, სომხები და თათრები. თვითეულ ამ ერს ამიერ კავკასიაში უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, ე. ი. მჭიდროთ დასახლებულია განსაზღვრულ სივრცეზე. ამ ფაქტის გამო რეალური მოსახლეობის პრინციპის ძალით მთელი ამიერ კავკასია ეროვნების მხრით წარმოადგენს სამ ეროვნულ ოლქს: ქართულს, სომხურს და თათრულს.

3) ისტორიული გადასახლება-გადმოსახლება და თანამედროვე გაცვლა-გამოცვლა იწვევს ეროვნულ საზღვრების შეცვლას და აგრეთვე ხელს უწყობს ეროვნული ოაზისების წარმოშობას. ეროვნული ოლქების საზღვრების ასეთი შეცვლა და ეროვნული ოაზისები ამიერ კავკასიაში ფაქტია. გამოვდივართ რა მოყვანილი დებულებებიდან ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული საკითხი ამიერ კავკასიაში უნდა გადაიჭრას ტერიტორიალურ და კულტურულ პრინციპების მიხედვით: თვითოეულ ეროვნულ ოლქს, რომელიც მჭიდროთ არის დასახლებული განსაზღვრული ერით, კულტურულათ უნდა შეუკავშირდეს ეროვნული ოაზისები.

4) თვითეულ ნაციონალურ ერთეულს ეძლევა თვითმართველობის უფლება, ე. ი. ადგილობრივ ორგანოების შექმნის უფლება, რომლებსაც სახელმწიფო აკისრებს სახელმწიფო მმართველობის განსაზღვრულ საქმეების განხორციელებას და რომლებსაც მართვა-გამგეობის უფლება აქვთ სახელმწიფოს დავალებით. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ სახელმწიფოსაგან დაკისრებული საჯარო—უფლებრივი ფუნქციები; მაგრამ თვითმართველ ერთეულს აქვს თავისი განსაკუთრებული კულტურული, სამეურნეო და უფლებრივი ინტერესები და ამ სფეროში იგი ადგილობრივ ორგანიზაციების საშუალებით ახორციელებს მართვა-გამგეობის ფუნქციებს, მაგრამ არა საკუთარ დამოუკიდებელ მართველობის უფლებით, როგორც ეს ხდება სახელმწიფოებში, არამედ სახელმწიფოს დავალებით.

5) აქედან აუცილებლათ გამომდინარეობს თვითმართველობის კომპეტენციის გამორკვევა, სახელმწიფო ცენტრის თვითმართველობასთან დამოკიდებულების განსაზღვრა იურიდიული ნორმების საშუალებით სახელმწიფოს მიერ გადაცემულ კომპეტენციის საზღვრებში თვითმართველობა კანონმდებლობს და მოქმედებს სრულიად დამოუკიდებლათ, სახელმწიფოს კი ეკუთვნის მხოლოდ თვალყურის დევნების უფლება, რომ არ დაირღვეს ამ კომპეტენციის საზღვრები.

რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს ეკუთვნის:

1) მატერიალურ და პროცესიალურ კანონმდებლობის უფლება სამოქალაქო, სავაჭრო, სათამასუქო, საკრედიტო და სისხლის სამართლის სფეროში.

2) ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლება.

3) ზემოთ დასახელებულ ზოგად რესპუბლიკანურ საკითხების შესახებ კანონების ახსნა-განმარტების უფლება.

4) ძირითადი მუშათა და აგრარულ კანონმდებლობის უფლება.

5) საერთო გადასახადების სისტემის, საზომისა და წონის დაწესების უფლება.

6) ფულის მოჭრის და ქაღალდის ფულის გამოცემის უფლება.

7) ომის გამოცხადებისა და ზავის შეკვრის უფლება.

8) საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება.

9) მილიციისა და ფლოტის მოწყობა და მათი გამგებლობა.

10) ზოგადი სახელმწიფო და სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი და ამ დარგებში საერთო წესების დამყარება.

11) გადასახადების საერთო სისტემით აკრეფილი ფინანსები სავსებით შედის რესპუბლიკის ხაზინაში.

12) იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც გამოწვეულია თვითმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეების შესრულებით.

თვითმართველობა განაგებს:

1) ყველა ადგილობრივ ეროვნულ კულტურულ საქმეებს.

2) ეროვნულ სკოლას იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოყოფილია ეკლესიიდან. პირველ დაწყებითი სწავლა განათლება სავალდებულოა.

3) სახალხო ჯანმრთელობა და საბეითალო საქმე.

4) ადგილობრივ მნიშვნელობის ყველა ნაირი მიმოსვლის საშუალებანი.

5) ადგილობრივი ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი.

6) ადგილობრივ სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

7) ადგილობრივი მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც ძირითადი რესპუბლიკანურ უფლების ამ სფეროებში განვითარება.

8) სასამართლო თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე.

9) ადმინისტრატიულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია.

10) სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო, საკაბინეტო და კერძო მემამულეთა (დაწესებულ ნორმის ზევით) მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში.

11) იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომელთაც თვითმართველობისთვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

12) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის წესისა და საშუალებათა გამოძებნა.

13) საკანონმდებლო თაოსნობის უფლება იმ საკითხებში, რომლებიც შეადგენს ცენტრის კომპეტენციას.

14) უმცირესობის ეროვნულ კულტურული თვითმართველობის უფლება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისთვის, უმცირესობისათვის, საჯარო-უფლებრივ ხასიათის კულტურულ დაწესებულებათა მოწყობის უფლების მინი-

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება.

ქებით და ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობასთან კულტურული კავშირის დაწესებით.

15) შერეულ თვითმართველობებში თითოეულ ეროვნებას სრული თვითმართველობა ეძლევა ეროვნულ კულტურულ საქმეებში და ამ სფეროში იგი უკავშირდება თავის ეროვნულ თვითმართველობას.

16) თვითმართველობა სარგებლობს იურიდიული პიროვნების ყველა უფლებებით.

17) ამიერ კავკასიის საერთო საკითხებს (ზოგად ამიერ კავკასიურ საკითხებს) არჩევს ამიერ კავკასიის საბჭო, რომელსაც ირჩევენ ამიერ კავკასიის ყველა თვითმართველობაში წარმომადგენელნი ოთხფორმულიანი საარჩევნო წესით.

18) თვითმართველობათა საზღვრები ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეროვნულ საზღვრების შესაცვლელათ უნდა მოხდეს რეფერენდუმი იმ ადგილებში, რომელთა საზღვრების გამორკვევა იწვევს დავას.

19) შერეული ქალაქების თვითმართველობამ უნდა უზრუნველყოს ამ ქალაქში თითოეულ ეროვნების კულტურულ-ეროვნული ცხოვრება.

20) ტერიტორიალური თვითმართველობა დასახლებული, მაგ. ქართველებით, იწოდება „საქართველოს თვითმართველობა“.

თითოეულ თვითმართველ ერთეულის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივ კანონმდებლობითი წესით.

ს.-დ. სოლქო ყრილობაზე მიღებული რეზოლიუციები

ეროვნული საკითხი.

მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესები მოითხოვს ისეთი უფლებრივი ნორმების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს მათ თავისუფალ კულტურულ განვითარებას.

ეს ნორმები უნდა აშენდეს ხალხის უფლებამოსილებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრების ყველა დარგებში ხალხის თვითმართველობის გატარების მტკიცე საფუძველზე. სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია წარმოადგენს ძირითად მოთხოვნილებას რუსეთის მთელი დემოკრატიისა, რამაც რუსეთის ისტორიაში პირველათ შექმნა ნაციონალური საკითხის სახელმწიფოს საზომით გადაჭრის პოლიტიკური შესაძლებლობა.

ასეთ საერთო პოლიტიკურ წყობილების ფარგალში ეროვნული კულტურის განვითარება შეიძლებლია უზრუნველყოფილ იქნას რუსეთში მოსახლე თითოეულ ეროვნებისათვის ფართო შინაურ თვითმართველობის მინიჭებით.

ტერიტორიალურ თვითმართველობის საზღვრები მყარდება ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით; ამასთანავე მიღებულ უნდა იქნას ხედველობაში ყოფა ცხოვრება და სამეურნეო მდგომარეობა. ეროვნულ საზღვრების შესაცვლელათ უნდა მოხდეს იმ ადგილების რეფერენდუმი, რომელთა საზღვრების გამორკვევა იწვევს უთანხმოებას. უმცირესობის ეროვნულ კულტურული თვითმართველობის უფლება უზრუნველ ყოფილი უნდა იქნეს მისთვის, უმცირესობისათვის, საჯარო უფლებრივ ხასიათის კულტურულ დაწესებულებათა მოწყობის უფლების მინიჭებით. ის ამასთანავე კავშირს აბამს თავის ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობასთან კულტურული საქმეების ერთად საწარმოებლათ.

შერეულ თვითმართველობაში თითოეულ ეროვნებას ეძლევა სრული თვითმართველობა ეროვნულ კულტურულ საქმეებში და ამ სფეროში იგი უკავშირდება თავის ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობას.

ამ ტერიტორიათა თვითმართველობა სახელმწიფოს მიერ გადაცემულ კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობს და მოქმედობს სრულიად დამოუკიდებლათ. მათ უფლებას შეადგენს:

1) ცენტრალურ პარლამენტისა და მმართველობის მიერ გამოცემულ ყველა კანონებისა და განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება.

2) ყველა ადგილობრივი ეროვნულ კულტურული საქმეები.

3) ეროვნული სკოლები (იმ პირობით, რომ სკოლა ჩამოშორებულია ეკლესიისაგან და დაწესებულია სახელმწიფოს მიერ სავალდებულო პირველ-დაწყებით სწავლა-განათლება).

4) სახალხო ჯანმრთელობა და საბეითლო საქმე.

5) ადგილობრივ მნიშვნელობის ყველა ნაირი მიმოსვლის საშვალებანი.

6) ადგილობრივი ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი.

7) ადგილობრივ სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

8) ადგილობრივ მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც შემდეგი განვითარება ძირითად რესპუბლიკანურ უფლებისა ამ სფეროში.

9) სასამართლო თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე.

10) ადმინისტრატიულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია.

11) სახაზინო, საუდელსწულო, სამონასტრო, საეკლესიო, საკაბინეტო და კერძო მემამულეთა (დაწესებულ ნორმაზე ზევით) მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში.

12) იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომლებსაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

13) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის წესისა და საშუალებათა გამონახვა.

14) კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება იმ სფეროში, რომელიც შეადგენს ცენტრის კომპეტენციას.

ამიერ-კავკასიის საერთო საკითხებს არჩევს ყველა თვითმართველობათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი ამიერ-კავკასიის საბჭო.

თითოეულ თვითმართველ ერთეულის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივ კანონმდებლობითი წესით.

ყრილობა მოითხოვს კონსტიტუციაში შეტანილ იქნას ძირითადი კანონი, რომელიც აუქმებს ცალკე ეროვნების პრივილეგიებს, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, და ნაციონალურ უმცირესობის უფლებათა ყოველგვარ დარღვევას.

პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნებათა მუშების გაერთიანებას პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში. მხოლოდ ასეთი გაერთიანება ერთგვარ ორგანიზაციებში მისცემს პროლეტარიატს საშუალებას აწარმოოს ძლევამოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

მუშათა საკითხი

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა მე 6 საოლქო ყრილობა ადასტურებს, რომ სამი წლის განმავლობაში, რაც მსოფლიო ომი წარმოებს, მუშათა კლასის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. პროლეტარიატის მორიგი მიზანია გამოიყენოს თანამედროვე, შედარებით ხელსაყრელი მომენტი თავის კლასიურ ორგანიზაციათა გასამაგრებლათ და ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

მუშათა პოლიტიკის სფეროში ყრილობას ძირითად მოთხოვნებათ მიაჩნია 8 საათის სამუშაო დღის დასაკანონებლათ დროებითი მთავრობის მიერ დაუყონებლივ დეკრეტის გამოცემა და უმუშევრობისა, ინვალიდობისა-მოხუცებულობისა და უბედურ შემთხვევათაგან სახელმწიფო დაზღვევის დაკანონება დამფუძნებელი კრების მეოხებით, ხოლო ავადმყოფობათაგან დამზღვევ დაწესებულებათა დემოკრატიზაცია. ამ მოთხოვნილებათა განხორციელება ხელს შეუწყობს რევოლიუციონურ მოპოვებათა განმტკიცებას, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება მსოფლიო ომის გათავებისას ჯარის დემობილიზაციის გამო მასიურ უმუშევრობისაგან გამოწვეულ უბედურების თავიდან აცილება.

ამ მიზნითვე სიეზდს საჭიროთ მიაჩნია, პარიტეტულ შრომის ბირჟების დაარსება.

იღებს რა მხედველობაში ომიანობის დროის პირობებს, ყრილობას შესაძლებლათ მიაჩნია პროფესიონალურ კავშირებისა და მუშათა დეპუტატების საბჭოს ნებართვით დაშვებულ იქნას ზედმეტი მუშაობა იმ დაწესებულებებში, რომლებიც თავდაცვის საქმეს ემსახურებიან და სადაც ეს ადგილობრივ პირობების გამო აუცილებელი იქნება, მაგრამ ზედმეტი მუშაობისათვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს, უნდა იქნას დაწესებული ორმაგი ხელფასი.

ხელფასის გასადიდებლათ და საზოგადოთ შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ, აგრეთვე იმ საკითხების გასარჩევათ, რომელიც იწვევს კონფლიქტს შრომისა და კაპიტალის წარმომადგენელთა შორის, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია მომრიგებელი კამერების დაარსება მუშებისა და მრეწველთა ორგანიზაციების თანასწორ წარმომადგენლთაგან. მომრიგებელი კამერების ხარჯები მრეწველთა ორგანიზაციებმა უნდა იკისრონ. იმ შემთხვევაში, როცა მრეწველნი აშკარათ ან ფარულათ მასიურ ლოკაუტს აცხადებენ, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ კონტროლის დაწესება ცალკე საწარმოვო დარგებზე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მუშათა კლასის შედარებით ნაკლებათ შეგნებულ ნაწილის ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბრძოლველათ, რაც მსოფლიო კატასტროფის ხანაში ჩქარა გაძლიერდა, ყრილობა აღიარებს დედაკაცთა და ბავშვთა შრომის დაცვისა, ხოლო 16 წლამდე მოზარდთა შრომის სავსებით აკრძალვის საჭიროებას.

უწევს რა ანგარიშს რეალურ ხელფასის ძალზე დაცემას, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია ისეთ დაწესებულებათა შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ნაკლებათ უზრუნველყოფილ მუშათა ხელფასის მინიმუმის დაწესებას.

დასასრულ, ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რათა სრულიად აკრძალულ იქნას ნარდათ მუშაობა, ვინაიდან იგი იწვევს მუშების უდროოთ დაუძლურებას და ხელს უშლის ცუდი ხარისხის ნაწარმოების დამზადებას.

აგრარული საკითხი.

რევოლიუციონური მოძრაობის გასაღრმავებლათ და ძველ ბატონყმურ ნაშთების მოსასპობათ რუსეთის ამიერ კავკასიის საოლქო ყრილობა ს. დემოკრატიულ მუშათა პარტიისა საჭიროთ სცნობს, რომ ყველა ადგილ-მამული სამინისტრო, საკაბინეთო, საუდელსწულო და სახაზინო გადაეცეს ოთხ ფორმულიან საარჩევნო სისტემით არჩეულ მსხვილ ადგილობრივ თვითმართველობებს.

ეს ორგანოები აერთებენ ქალაქის და სოფლის ოლქებს და ეკონომიურის მხრით წარმოადგენენ მთლიან ერთეულს.

ჩამოსართმევ ადგილ მამულის მინიმალურ ზომას საზღვრავს ადგილობრივი თვითმართველობა.

ის ადგილ მამული, ტყეები და მდინარეები, რომლებსაც საზოგადო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, დემოკრატიულ სახელმწიფოს კუთვნილებათ დარჩება, ხოლო მოსარგებლობათ გადაეცემა ადგილობრივ მსხვილ ორგანოებს.

რომ გლეხთა მოძრაობა შეთანხმებული იყოს და იქ არევ-დარევას ადგილი არ ჰქონდეს, ყრილობა გადაჭრით ურჩევს მიწების ძალით მითვისებას გამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომელიც შეიმუშავებს მიწის კონფისკაციის ძირითად დებულებებს. ამასთანავე ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის გაჩაღდეს სოფლად პარტიული პროპაგანდა და მოეწყოს როგორც პარტიული, ისე არა პარტიული დემოკრატიული ორგანიზაციები.

რაც შეეხება იმ სხვადასხვა კითხვებს, რომლების გადაჭრა საჭიროა დამფუძნებელ კრებამდე, ყრილობა ამის შესახებ შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

ა.

1) დაცვა და წესიერი ექსპლოატაცია იმ ტყეებისა, რომლებიც რევოლიუციის დროს უკუ-ადლიებით იყო მიტოვებული, ან რომლებიც კერძო მფლობელთ ეკუთვნის, მიენდოს ადგილობრივ მიწის კომიტეტს.

2) მიმდინარე წელს ტყეების გაჩეხა შეშისათვის, თუ საამშენებლო მასალისათვის უნდა მოხდეს საშუალოთ ისე, როგორც უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო სამხედრო მასალისათვის შესაძლოა ზედმეტიც გაჩეხონ.

3) სახაზინო და საუდელსწულო ტყეებზე უნდა დაწესდეს სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტების კონტროლი, რომელთა მოქმედებას ხელმძღვანელობს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები.

4) სათავად აზნაურო სადგილ-მამულო და საგლეხო ბანკებში დაგირავებულ მამულებზე გადასახადების შეტანა შეჩერებულია დროებით მთავრობის საგანგებო დეკრეტით დამფუძნებელ კრებამდი, ხოლო უკეთუ საჯაროთ დაყადაღდა დაინიშნა, მიწის ადგილობრივი კომიტეტები ვალდებული არიან საჩქარო შუამდგომლობა აღძრათ მის შესაჩერებლათ.

ბ.

1) სახნავ მიწების შესახებ ყველა საკითხს სწყვეტს მომრიგებელი კამერა.

2) საუდელსწულო და სამონასტრო მიწებს ამუშავებს მიწის ადგილობრივი კომიტეტი და საჯარო გადასახადი შეაქვს ბანკში დამფუძნებელ კრებამდე.

3) ხიზნების მიწები დროებით მთავრობის საგანგებო დეკრეტით უნდა გადაეცეს ხიზნებს სრულ საკუთრებათ და განთავისუფლდეს ყოველივე საჯარო გადასახადისაგან.

გ.

1) ის საძოვარი მინდვრები, რომლებიც საჭიროა წვრილ მესაკუთრეებისათვის შინაურ საქონლის საძოვრათ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს მათ მიწების კომიტეტების მიერ.

2) იმ საძოვარ ადგილების საკითხს, რომლებიც საჭიროა მეჯოგეებისათვის, სწყვეტს დაინტერესებული მხარეები კერძო შეთანხმებით.

დ.

სათიბ მინდვრების საკითხს სწყვეტენ მომრიგებელი კამერები.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების სიეზდი.

(დასასრული იხ. „ერთობა“ № 75).

(მეექვსე დღე 16 ივნისი).

თავმჯდომარეობს ამხ. ნოე რამიშვილი.

დილის სხდომა მოანდომეს რეზოლიუციების განხილვას. ყველა რეზოლიუციებში შემოაქვთ შესწორებები და დამატებები, რომელთა ნაწილი მიღებულ იქნა. დამფუძნებელ კრებისა და პროფესიონალურ კავშირების შესახებ რეზოლიუციები მიღებულ იქნა ერთხმათ, ერთის წინააღმდეგ. ერთხმათ მიღებულ იქნა აგრეთვე მუშათა საკითხისა და ომისა და ზავის შესახებ რეზოლიუცია, რეზოლიუციას მიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ წინააღმდეგ მისცა ხმა 9, თავი შეიკავა 12, თითქმის ერთხმათ მიიღეს ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ რეზოლიუცია (8 შეიკავა თავი). აგრარულ საკითხზე რეზოლიუციას 8 მისცა წინააღმდეგ ხმა, თავი შეიკავა 1.

ნაციონალურ საკითხზე წაკითხულ იქნა ამხ. ნოე ჟორდანიას რეზოლიუცია. თავის რეზოლიუცია წამოაყენა გაზ. „ალიონის“ ჯგუფმა *) უყარეს კენჭი რეზოლიუციებს შესწორებების შეტანამდე. ნ. ჟორდანიას რეზოლიუციას მხოლოდ ოთხმა მისცა წინააღმდეგ ხმა („ალიონის“ წარმომადგენელმა, ამხ. ლეო შენგელაი ქიაჩელმა თავი შეიკავა). ალიონელების რეზოლიუციამ მიიღო მხოლოდ 4 ხმა. ნ. ჟორდანიას რეზოლიუციაში შეიტანეს მხოლოდ ერთი შესწორება, იქ, სადაც ნათქვამია, ტერიტორიალურ თვითმართველობების საზღვრები უნდა დაწესდეს რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვითო, დაუმატეს: „ამასთანავე მიღებული უნდა იქნას მხედველობაში ყოფა ცხოვრება და სამეურნეო მდგომარეობა“ ო.

სანამ რეზოლიუციას შესწორებით კენჭს უყრიდენ, ამხ. ლეო ნათაძემ მოუწოდა დამსწრეთ მიიღონ იგი ერთხმათ, მოაგონა მათ ბრიუნის პროგრამა, შეიძლება დეტალებში არ გეთანხმებოდეთ, მაგრამ მაინც სასურველია ჩვენმა სიეზდმა ერთხმათ მიიღოს ეს რეზოლიუციაო...

რეზოლიუციას მხოლოდ 6 მისცა წინააღმდეგ ხმა, 9 თავი შეიკავა **).

ამხ. არ. ზურაბოვმა აცნობა სიეზდს დამფუძნებელი კრების მოწვევის 30 სეკტემბრისათვის დანიშვნა. სიეზდი ცნობას ოვაციებით შეხვდა.

წაკითხულ იქნა ლაჩხუთის ს.-დ.-ორგანიზაციის მისალმების დეპეშა.

საღამოს სხდომა მოხდა დახურულ კარებში.

(მეშვიდე დღე 17, ივნისი).

თავმჯდომარეობს ამხ. ნოე რამიშვილი.

სხდომის პირველი ნაწილი დახურულ კარებში მოხდა...

იხსნება კამათი პარტიის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ. ამხ. ზ. გურული მოითხოვს კერძო ს.-დ. გამოცემები დაყენონ საოლქო კომიტეტის კონტროლის ქვეშ და აიკრძალოს საკუთარი თვალსაზრისით იმ საკითხების გაშუქება, რომლების შესახებ სიეზდმა გამოიტანა თავისი დადგენილებები. დისკუსია დასაშვებია და საჭიროა, თუ საკითხი სიეზდს არ განუხილავს.

ამხ. გ. ხუროძე არ ეთანხმება ამხ. ზ. გურულს. ორატორი აცნობებს სიეზდს, რომ დაარსდა ჩვენი (ს.-დ.) ორგანოების თანამშრომელ მწერალთა (პოეტები, ბელეტრისტები, კრიტიკოსები და სხ.) საზოგადოება, რომლის მიზანი ახლო მომავალში მხატვრული ჟურნალის გამოცემა, მხატვრული ნაწარმოებების გამოცემა და გავრცელებაა და სხ. საჭიროა როგორც საოლქო კომიტეტმა, ისე პროვინციელ ამხანაგებმა აღმოუჩინონ მწერალთა საზოგადოებას მორალური და ნივთიერი დახმარება. საჭიროა პროვინციელ ორგანიზაციებმა მოაწყონ საღამოები და სხ. ხსენებულ საზოგადოების სასარგებლოთ და მით ხელი შეუწყონ მას მეტათ სიმპატიურ და საჭირო მიზნების განხორციელებას.

სიეზდმა ამხ. გ. ხუროძის წინადადებით გამოსთქვა სურვილი აღმოუჩინოს ახალგაზრდა მწერლებს ნივთიერი და მორალური დახმარება მხატვრულ ორგანოსისა და წიგნების გამოცემა გავრცელებაში.

კერძო გამოცემებს, რომლებიც არ იზიარებენ სიეზდის დადგენილებებს, არ აქვთ უფლება გამოიყენონ პარტიული იარლიკი, ე. ი. არ უნდა წააწერონ თავის გამოცემას: „რ. ს. დ. მ. პარტია“.

ამხ. ნოე ხომერიკს შემოაქვს წინადადება, ვინაიდან კერძო გამომცემლები ხშირათ ამახინჯებენ ს. დ. გამოცემას და ეწევიან სპეკულაციას, არავის არ ჰქონდეს ნება გამოსცეს ს.-დ. ლიტერატურა ადგილობრივ ს.-დ. ორგანოების ნებადაურთველათ. ეს წინადადება ცხარე კამათს იწვევს. ამხ. [illegible] ჭავჭანიძის წინადადებით ეს საკითხი სავსებით მოხსნა და სიეზდმა შემდეგი სურვილი გამოსთქვა: საჭიროა საგამომცემლო საქმის საოლქო და ადგილობრივ ორგანიზაციების ხელში გადასვლა და არ არის სასურველი კერძო გამომცემლობა.

სხვა პარტიებთან დამოკიდებულების გამორკვევა მიენდო საოლქო კომიტეტს. ამხ. ს. ალავერდოვი კითხულობს სარაყამიშის ორგანიზაციის მიერ ამ საკითხზე მიღებულ რეზოლიუციას, რომელსაც საჭიროთ მიაჩნია მეუმრავლესეთა ფრაქციის მეუმცირესეებთან გაერთიანება იმ საფუძველზე, რომელიც არ ეწინააღმდეგება მარქსიზმსა და ინტერნაციონალიზმს. ორგანიზაციის დიდი უმრავლესობა მეუმრავლესენი ყოფილან. სიეზდმა ერთხმათ მიიღო ამ საკითხზე ამხ. ნოე რამიშვილის წინადადება: „სიეზდს მეტად საჭიროთ მიაჩნია მეუმრავლესეთა და მეუმცირესეთა გაერთიანება და ანდობს საოლქო კომიტეტს გამონახოს ამისთვის საჭირო ზომები. საოლქო კომიტეტსვე გადაეცა აგრეთვე ე. ნინოშვილისათვის ძეგლის აგების საკითხი, მოგზაურ ლექტორთა ჯგუფის დაარსება, ოტტო ბაუერის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა; გამოითქვა აგრეთვე სურვილი ს. დ. გამოცემების გავრცელების საქმის შეძლებისდაგვარათ საოლქო კომიტეტის ხელში გადასვლისა. წაკითხულ იქნა მისალმება საშა წულუკიძის საფლავზე შეკრებილ ხონელ ამხანაგებისაგან. სიეზდმა ფეხზე ადგომით პატივისცა საშას წმინდა ხსოვნას. თავისუფალი სიეზდი არ ივიწყებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მტარვალთაგან დახოცილ გმირ—ამხანაგებს. იგი ფეხზე ადგომით პატივსცემს მათ წმინდა ხსოვნასა და ავალებს საოლქო კომიტეტს—მონახოს არსენ ჯორჯიაშვილის, თიკანაძის და სხვათა ნეშთი და დაასაფლაოს მათი სახელისათვის შესაფერ ადგილზე.

სიეზდი პროტესტს აცხადებს ფრ. ადლერისათვის სასიკვდილო განაჩენის გამო. აგრეთვე სასტიკ პროტესტს უცხადებს რუმინიის მთავრობას იმ პირის სიკვდილით დასჯისათვის, რომელმაც ხელი შეუწყო რაკოვსკის განთავისუფლებას. ამხ. დათიკო ხართიშვილის საქმის გარჩევა გადაეცა საოლქო კომიტეტს. რეზოლიუციები და პარტიის წესდება დაიბეჭდება ცალკე წიგნაკათ. ამხ. მ. რამიშვილს შემოაქვს ასეთი განცხადება: „წინადადებას ვაძლევ სიეზდს გამოსთქვას განსაკუთრებული კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენს შორის, პირველ თავისუფალ სიეზდზე იყვნენ ორი ვეტერანი. მოესწრნენ ბედნიერ მომენტს, როცა თვითონ შეუძლიათ დაინახონ ნაყოფი თავის შრომისა. პირველი მათგანი—ნოე ჟორდანია, ჩვენი შეუდარებელი ბელადი, რომლითაც შეუძლია იამაყოს არა მარტო კავკასიის ს.-დემოკრატიას, არამედ რუსეთისას და თითქმის რომელიც გნებავს ევროპის ს.-დემოკრატიასაც. მეორე მათგანია სილიბისტრო ჯიბლაძე, ბრწყინვალე პიროვნება ჩვენი პარტიისა, მთავარი თანამშრომელი ნოე ჟორდანიასი, რომელმაც გადალახა ნარეკლიანი გზა ძველი წყობილებისა და დღეს მოევლინა ს. დ. პირველი თავისუფალი სიეზდის გამხნევლათ. ვისურვოთ, რომ ისინი მოესწრონ არა მარტო რევოლიუციის გამარჯვებას, არამედ სოციალიზმის ზეიმსაც.

ამ განცხადებას მხურვალე ტაშის ცემით და ოვაციებით შეხვდა სიეზდი.

სანამ სიეზდს დახურავდა, ამხ. ნოე რამიშვილმა მიმართა დამსწრეთ მოკლე, შინაარსიანი სიტყვით და უსურვა მათ მთელი ძალღონის გამოყენება სიეზდის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე, რომ კავკასიის ს. დემოკრატია ომიანობის დროსაც ინტერნაციონალურ ნიადაგზე იდგა და დღესაც მას შერჩა. გაუმარჯოს ს. დემოკრატიულ პარტიას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს—დაათავა თავმჯდომარემ თავისი სიტყვა.

სიეზდი მადლობას უცხადებს პრეზიდიუმს და ნაყოფიერ მუშაობის შემდეგ მხურვალეთ, მარსელიოზას სიმღერით დაიშალა. იმ რწმენით, რომ კვლავ განაგრძობს ძლევამოსილ ბრძოლას საბოლოო მიზნის განსახორციელებლათ.

ვენე ალათიშვილი.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების წინასწარი თათბირი.

(გაგრძელება იხ. „ერთობა“ № 72).

ამხ. ალ. ჩიქვა. (სამეგრელო, ზუგდ. მ.) რევოლიუციამდე მხოლოდ 6—8 კაცისაგან შემდგარი ერთი „იჩეკა“ არსებობდა. რევოლიუციის დროს გაბატონებული იყვნენ ფედერალისტები, თუ რომელიმე დაწესებულებაში ყველა მათი არ იქნებოდა, არ მუშაობდენ. [illegible] ზუგდიდის მაზრაში ჩვენს პარტიას 2552 წევრი ყავს, მარტო დაბა ზუგდიდში ირიცხება 800 წევრი. წმინდა პარტიული მუშაობისათვის არ გვცალია, თორემ კიდევ მეტი წევრი გვეყოლებოდა. სასოფლო ორგანიზაციებში თითქმის ყველგან ს. დ. ირჩევენ. ფედერალისტებს ხალხი ისე ექცევა, რომ ჩვენ იძულებული ვყავით გვეხვეწა მიეცათ მათთვის ლაპარაკის ნება. ზუგდიდის აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნებში ფედერალისტებმა მიიღეს 600, ჩვენ 900 ხმა. ჩვენ გავიყვანეთ ერთი ფედერალისტი, მაგრამ მისი თანამოაზრეები არ დაეთანხმნენ და ისევ უკან გაიწვიეს იგი, გვინდოდა აგრეთვე კომისარიატში გაგვეყვანა ფედერალისტი, მაგრამ უარი სთქვეს. ახლა ვაფუძნებთ ქალაქის თვითმართველობის მოწყობას ზუგდიდში. ფედერალისტებმა არჩევნები ჩაგვიშალეს, როცა დაინახეს, რომ ჩვენები გადიოდენ მეტი... მიწის სოციალიზაციის მიღებამ ხომ სულ გამოაცალა მათ ნიადაგი !.. ზუგდიდში არსებობს ერთი პროფესიონალური კავშირი.

ამხ. გრ. ურატაძე. (ქუთაისი) რევოლიუციამდე არსებობდა ვიწრო წრე, რომელსაც არ შეეძლო ფართო გამოსვლების მოწყობა. რევოლიუციამ ყველა კითხვები ჩვენ დაგვა-

---

*) იხ. „ალიონი“ № 15.

**) ამხ. ფ. წულაძემ ჯერ წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ შემდეგ განცხადება შემოიტანა, რომ თავს იკავებს.

კისრა, დღეს გოროდოვოი ვართ, ხვალ გუბერნატორი, ზეგ ციხის უფროსი და სხ. ჩვენი გავლენა დიდია.

ყველგან ჩვენს შეხედულებას იზიარებენ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ჩვენს დადგენილებებს იღებს. მაგრამ, მეორეს მხრით ამან უხერხული მდგომარეობა შექმნა, მთელი ჩვენი ძალები უნდება საერთო საქმეებს და პარტიული მუშაობა უყურადღებოთ რჩება. ქუთაისის ახლო მდებარე სოფლები ღვინის ვაჭრობით ცხოვრობენ და ჩვენ რომ ავკრძალეთ ღვინის გაყიდვა, ამან უკმაყოფილება გამოიწვია; წვრილი მოვაჭრენიც აგვიმხედრდა. საერთოთ, ბევრი ელემენტები ავამხედრეთ ჩვენს წინააღმდეგ იმის გამო, რომ ჩვენ ვარჩევთ ყველა კითხვებს, რომლებიც ეხებიან საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილს. პარტიაში შემოსვლის მსურველებს დიდ მოთხოვნილებას ვუყენებთ. მიუხედავათ ამისა დღეს 2000 მეტი წევრია პარტიაში. ქუთაისი არ არის რაიონებათ დაყოფილი, იმართება საერთო კრებები, არის 7 საუბნო კომიტეტი, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ არჩევნებში და სხ. მათ აქვთ კლუბები. არის პროპაგანდისტთა კოლეგია, რომელიც ეხმარება მთელ გუბერნიას. არსებობს ქალთა ორგანიზაცია, რომელიც ხშირათ მართავს კრებებს, პროპაგანდა-საუბარს და ჩვენც გვეხმარებიან. დაარსდა 30-მდე პროფესიონალური ორგანიზაცია, რომლებიც ახლა შევაერთეთ 6—7 პრ. კავშირში. არსებობს მომრიგებელი კამერა, რომელიც აწესრიგებს მუშებისა და ხაზეინების შორის დამოკიდებულებას.

ჯარი არ აძლევდა ფედერალისტებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას, რის გამო ჩვენ იძულებული შევიქენით არჩევნები გადაგვედვა. ერთხელ ფ—ბმა და ს.-რ. გამართეს მიტინგი, მაგრამ მაინც ჩვენ, შემთხვევით მისულებმა გავიმარჯვეთ მათ მიტინგზე. ს.-რ—ებთან კარგ განწყობილებაში ვიყავით. 25 კაცში მათ მივეცით 2, გვინდოდა 3 ადგილი დაგვეთმო, მაგრამ ორის მეტი ვერ იშოვეს შესაფერი კანდიდატი!.. შემდეგ მიმართეს ჯარს. 3 ათას ჯარისკაცში მათ მხოლოდ 900 ამდე მიმდევარი ჰყავთ, ისე რომ ჯარშიც ჩვენ ვსარგებლობთ გავლენით, ისე როგორც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

ამის შემდეგ მომხსენებელი ეხება ქუთაისში მომხდარ ექსცესებს და ამბობს, რომ ჩვენ დიდი შრომა დაგვჭირდა, მთელი ძალღონით ვცდილობდით მდგომარეობა არ გამწვავებულიყო... ასე, მაშ მთელი ღამეები გვიხდებოდა ცნობილ ფედერალისტების ბინებთან დგომა და მათი წყნარება. ამ სამწუხარო მოვლენას ორგვარი მხარე ახასიათებდა: ტაქტიკური და ხულიგანური. ერთის მხრით თვით ფედერალისტების ტაქტიკური მოქმედება გახდა რამდენიმეთ ამის მიზეზი, მეორეს მხრით თუმცა შეგნებული პირებიც მოითხოვდნენ დროშაზე წარეწერათ სიტყვა „ავტონომია“, როგორც დღევანდელი მომენტისათვის შეუფერებელი, „ნ-ის დიქტატურამ“ გამოარკვია, რომ დარბევა მოაწყო ყოფილ ჟანდარმებმა, პოლიციელებმა, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ ჯარში...

ჩვენ მოვსპეთ დარბევა. ფედერალისტებთან კამათში ყოველთვის თავს ვიჭერდით, ვცდილობდით მათთან შეთანხმებას. ასე, მაგ. როცა სოფლელები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ მათ არჩევაზე მივმართავდით გლეხებს ისინიც აერჩიათ. შეთანხმება გვინდოდა მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნებშიაც, მათთაც დაუთმეთ რამდენიმე ადგილი, რაზედაც პირველათ დაგვეთანხმნენ, მაგრამ როცა საქმე არჩევნებზე მიდგა, მათ მოითხოვეს პრეზიდიუმში ერთი მათი, ერთი ს.-რ-ების და ერთიც ჩვენი აერჩიათ. მაგრამ ხალხმა პრეზიდიუმში 5 კაცი აირჩია სამის მაგიერ, ამით მეტათ უკმაყოფილო დარჩენ ფედერალისტები, არ მოისურვეს ჩვენთან მუშაობა და ცალკე დაარსეს მუშათა დეპუტატების საბჭო.

გარდა ამისა მოგვიხდა ლეჩხუმში ჯარის გაგზავნა, რომელსაც გავაყოლეთ მუშათა წარმომადგენლებიც.

ამხ. ლეო რუხაძე უმატებს, რომ ქუთაისში ჩვენმა ტაქტიკამ შექმნა ს.-რევოლიუციონერები, თორემ ისინი იქ არ იყვნენო. დღეს ისინი ფედერალისტებთან ერთად გამოდიან, დაავიწყდათ, რომ მათ თფილისელ ამხანაგებმა ფედერალისტებს სოციალისტობაც კი არ უწოდეს; ჩვენს წინააღმდეგ ერთად იბრძვიან, დემაგოგიას ეწევიან და ვინ იცის რა ჭორებს არ ავრცელებენ. საჭიროა ორივესთან ბრძოლა.

ვენე ალათიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

სოფ. ჯვარცხმა.

კვირას, 11 ივნისს მოხდა ჯვარცხმის რაიონის ს. დ. ორგანიზაციის წევრთა შეერთებული კრება. კრებას 100-დე წევრი დაესწრო. მიიღეს რამდენიმე ახალი პარტიის წევრი. გადასწყვიტეს დაჩქარებით შესდგეს ჯვ. რაიონული ს. დემ. აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც თითო წრე 15—20 ირჩევს ერთს წარმომადგენელს. შემდეგ გაიმართა მასიური კრება. კომისრათ და მწერლათ ჯერ ისევ ძველები დატოვეს. აირჩიეს სასოფლო კომიტეტები. სოფ. ჯვარცხმიდან აირჩიეს ხუთი კაცი.

ივ ქორომახპირელი.

სოფ. ზენობანი.

კვირას, 4 ივნისს, საღ. 7 საათზე ზენობნის სკოლის დარბაზში დ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ზენობნის რ. ს. დ. მუშათა პარტიის წევრებისა. თავმჯდომარემ კრებას დაახასიათა დღევანდელი მომენტი. კრებაზე გაირჩა წევრთა ზნეობრივი მოვალეობა და აგრეთვე სხვა საკითხები და შესაფერისი რეზოლიუციები მიიღეს.

ეკაშვილი.

ხურები.

ამ დღეებში მოხდა ხურების რაიონის სოც. დემ. პარტიის წევრთა კრება. პარტიის წევრები სამას ათს აღწევს. კრებამ განიხილა მომავალ ამიერ კავკასიის სოც. დემ. ორგანიზაციების დელეგატთა ყრილობის დღის წესრიგი. იქონია მსჯელობა თვითეულ კითხვაზე და გაარკვია ის. ამას შემდეგ კრებამ აირჩია ყრილობაზე დასასწრებლად ერთი დელეგატი: ს. სპ. რამიშვილი. ბოლოს, თანახმად გურიის კომიტეტის დადგენილებისა, სარაიონო კოლექტივში აირჩიეს ოც კაცზე ერთი წარმომადგენელი, ხოლო სამაზრო კომიტეტის წევრებათ სამი: მ. კაკვაძე, ს. ს. რამიშვილი, პ. ი. რამიშვილი.

ვეტრფი.

მუშათა ცხოვრება.

არზრუმი. დიდმა თავისუფლებამ ფრთები გაშალა, ყველაფერი განახლდა, მაგრამ აქ ჯერ ისევ ყველაფერი ძველია, მხოლოდ მარტო ჯარისკაცებს ეტყობათ გამოფხიზლება. არზრუმის რაიონში დიდძალი მუშა სცხოვრობს. ბევრს მათგანს ჯერაც არ გაუგია რუსეთის რევოლიუციის ამბავი, რადგანაც მათში წერაკითხვის მცოდნე იშვიათია, ხოლო ვინც რამე იცის, ის არ ცდილობს სხვებს, რაიმე ცოდნა გაუზიაროს. უმეტეს შემთხვევაში არც თვით სცალია წიგნის ან გაზეთის წასაკითხავათ და რაიმე გამრყვნელი გასართობით იქცევს თავს. მუშები ასე დაიყოფებიან: უბრალო მუშები, „დესიატნიკები“, „ტაბელჩიკები“ და უფროსი მუშები. ამ უფროსებში ბევრს სასწავლებლის მოწმობაც აქვს, ზოგიც თვითგანვითარებულს ეძახის თავის თავს და დემოკრატიის მოსარჩლეს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, საქმით ღმერთმა შეინახოს. უბრალო მუშებში იგინი კაცს არ ხედავენ და ბევრ უმსგავსო საქციელს სჩადიან. საწყალ უბრალო მუშებს დესიატნიკებიც სცემენ, ტაბელჩიკებიც და უფროსი მუშებიც. დღის გინება ხომ უბრალო სალამის მაგიერია. იყო ისეთი მაგალითი: მუშამ საშინელ ქარბუქს ვერ გაუძლო, ან ავათ გახდა და ბინაზე წავიდა, თუმცა ორი საათის მეტი არ გაუცდენია, მარა ტაბელჩიკმა კი მთელი დღე დააკლო ან კიდევ კვირას მუშა არ გამოვიდა, რადგან ისეთი სასწრაფო სამუშაო არ იყო, რომ მიმოსვლა შეჩერებულიყო. მას კი ჭეჭყი აწუხებდა და ტანისამოსის გარეცხა გაბედა, ასეთ კანონიერ მუშას ტაბელჩიკი ხშირათ აჯარიმებს.

უმეტესი ნაწილი აქ უბრალო მუშებისა თათრები დ სომხებია და ცოტაც ქართველები, სამწუხაროთ და სამარცხვინოთ ყველასაგან დაბრიყვებული მუშა-თათრებია. ეს ბუნებისაგან დაჩაგრული და კარმიდამო აოხრებული ხალხი დღეს თანაგრძნობის მაგიერ ჩვენგანაც იჩაგრება. სამწუხაროთ უნდა გამოვტყდე, რომ დღეს უმეტეს ნაწილათ ეს მჩაგვრელები სომხები არიან. სულ ტყუილ უბრალოთ აწუხებენ საწყალ თათრებს და მათ ნიადაგს უმზადებენ მათში ისედაც გამწვავებულ ეროვნულ შუღლს.

ხიზანი.

პროვინციის ცხოვრება.

ერთობის უბანი თფილისის განაპირა, ჩრდილოეთ აღმოსავლეთით რკინის გზის გადაღმა. ამ უბანს წინეთ ნადიროვკას ეძახდნენ. მცხოვრებთა რიცხვი 500—600 კომლს აღემატება, რომელთაგან 90 პროც. წვრილი ხელოსნები და მუშებია. ძველი მთავრობის დროს ქალაქის მუშებს ეს უბანი წელიწადში მხოლოდ ორჯერ გახსენდებოდათ, როცა ფულების აკრეფის დრო მოვიდოდა.

ამ უბნის მცხოვრებლებს ბევრჯელ მიუმართნიათ ქალაქის მმართველობისათვის, მაგრამ ამაოთ. იმის მაგიერ, რომ მათი კანონიერი თხოვნა შეესრულებინათ,—მათ მიერ მიტანილ თხოვნას არც კი კითხულობდნენ: „შენ წადი და პასუხი შინ მოგივაო“, იყო პასუხი.

მაგრამ ნათქვამია: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“-ო. დაჰკრა თავისუფლების საათმა ხალხი წელში გაიმართა.

მოახდინეს საზოგადო ყრილობა, რომელზედაც უპირველეს ყოვლისა დროებით მთავრობას ნდობა გამოუცხადეს და მასთან მოითხოვეს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება.

ამავე ყრილობაზე არჩეულ იქნა საუბნო კომიტეტი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცია ამ უბნის ყოფა-ცხოვრებისთვის როგორიცაა მაგ. სისუფთავე, ქუჩების ალაგება, სურსათი, მამულის გამოსყიდვის შესახებ, ხალხის შეერთება შეკავშირება თავისუფლების განსამტკიცებლათ და სხვა.

თუმცა ერთობის უბანს ეხლა უკვე ყავს ამორჩეული საუბნო კომიტეტი, მაგრამ ეს არ კმარა. მთელმა უბნის ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს კომიტეტს და ხელი შეუწყოს ნაყოფიერ შრომისთვის. მალე საქალაქო არჩევნები დაიწყება. უნდა აირჩიონ ქალაქის ახალი ხმოსნები. ამიტომ საჭიროა მთელი უბანი შეგნებულათ შეხვდეს ამ არჩევნებს, რომ იქ ღარიბ მცხოვრებთა ინტერესების დამცველები უნდა იქნენ არჩეულნი.

რაც შეეხება საუბნო კომიტეტს მან უკვე გადადგა შესაფერი ნაბიჯი. კომიტეტის წევრებმა თავიანთი ხარჯით დაარსეს წიგნთსაცავ სამკითხველო; პირველ გახსნისთანავე დიდი პატარა ხარბათ დაეწაფა ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ ჯერ სამკითხველო იმდენათ ღონიერი ვერ არის, რომ სრულიად დააკმაყოფილოს ასეთი დიდი მოთხოვნილება.

ხალხი თუმცა არაფერს იშურებს სამკითხველოსთვის, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა გულშემატკივრებმა ყურადღება მიაქციონ ამ სამპატიო საქმეს და თავიანთი წვლილი არ დაიშურონ—წიგნებით თუ ფულით.

შემოწირულება მიიღება თვით სამკითხველოში სამოვოლნი ქუჩ. № 22.

დ. ფერაძე.

დ. ახალსენაკი (სამეგრელო). 9 ივნისს დ. ახალ-სენაკში მოხდა სენაკის მაზრის მასწავლებელთა ყრილობა. დაესწრო 50-მდე მასწავლებელი. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ბ ნი კვეკელია, მდივნათ ალ. ჩხეტია. მოხსენება გააკეთა ამხ. ქობულიამ, რომელიც დელეგატათ იყო გაგზავნილი თფილისის მასწავლებელთა ყრილობაზე. შემდეგ ამისა კრებამ განიხილა მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების დაარსების საკითხი ნაციონალური სკოლებისათვის. კითხვა ასე დააყენეს: მასწავლებელთა მომზადება აუცილებელია, ხოლო სად მოხდეს ეს მომზადება, ადგილობრივათ, ე. ი. კურსები დაარსდება სენაკის მაზრაში, თუ ქუთაისში?

ამ საკითხის გარშემო დიდი კამათი ასტყდა, კრება ორ ბანაკათ გაიყო. ერთი მოითხოვდა ქუთაისში კურსების მოწყობას და იქ მეცადინეობას, მეორენი კი ადგილობრივ. მე არ შევუდგები იმის აღნუსხვას, თუ რამდენათ უსაფუძვლო იყო იმის წამოყენება თითქოს ქუთაისში უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო ნივთიერათ სენაკის მაზრის მასწავლებელთათვის ცხოვრება, ვიდრე სენაკში, ვინაიდან ეს თავის-თავად ცხადია.

აქ კი უნდა მოვიხსენიოთ ჩემდა სამწუხაროთ, რომ კრება ყოველგვარ დისციპლინას მოკლებული იყო. ლაპარაკობდენ იმაზე, რაც მოეხალისებოდათ და არა იმაზე, რაც საკითხს შეეხებოდა. უმეტესათ ქალებმა ისახელეს თავი. ესმო და სიტყვის თავისუფლება არისო—განიძახოდნენ იმას, რაც მათ სრულებით არ შეეფერებოდათ. სასიამოვნო მათი ლაპარაკი და უფრო სასიამოვნო იქნებოდა ჩაკვირვება, აწონ-დაწონა ყოველი ნაბიჯისა და მერე გამოსვლა, თუ არა ასეთი უტაქტო გამოსვლები, როგორიც იყო მაშინდელ კრებაზე, არამც თუ გააკეთებს საქმეს, დიდ ზიანსაც მოაყენებს. უნდა ვერიდოთ ასეთ გამოსვლებს.

დახელი ქალი.

ასკანა. (გურია). 4 ივნისს ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „მეზობლები“. წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. წმინდა შემოსავალი—178 მ. გადაიდო ადგილობრივათ სახალხო სახლის ასაშენებლათ. ამავე მიზნით სცენის მოყვარე ამხ. ავთანდილ შარაშიძეს ბათუმში გამართა წარმოდგენა; რომლის წმინდა შემოსავალი—440 მან. გამოუგზავნა საზოგადოებას. ეს ფულები მიაბარეს შესანახათ ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას.

რეკავე.

დ. აბაშა *) ადგილობრივ მოწინავე ს. დ. ამხანაგების თაოსნობით დ. აბაშაში გაიხსნა ს. დ. კლუბი. კლუბის გახსნას ადგილობრივი ამხანაგები დიდი სიხარულით შეხვდნენ და არ დაიშურეს არც შრომა და არც თანხა, რათა შესაფერ დონეზე დაეყენებინათ კლუბის საქმე. 25 აპრილს მოხდა ადგილობრივ ს. დ. წევრთა კრება. კლუბის გახსნის ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია, შეგროვდა შემოწირულება 280 მ. 85 კაპ. 12 ივლისამდე შემოწირულება შეადგენდა 580 მ. 45 კ., რადგანაც კლუბის თეატრათ გადაკეთება უფრო ხელსაყრელი და სასარგებლო იყო, კლუბის კომისიამ განიზრახა გადაეკეთებინა კლუბის დარბაზი თეატრათ, რაიც დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანა—მოაწყო სცენა, დეკორაციები და სხ., აქ უკვე იმართება წარმოდგენები, საღამოები და ლექციები. შემოსავალი მიდის ამავე კლუბის სასარგებლოთ.

იქვე ქალთა სასწავლებლის შენობაში გაიხსნა ს. დ. პ. საჩაიე, სადაც 28 მაისისთვის მოწყობილი იქნა ბუფეტი. წმინდა შემოსავალი წარმოდგენისა და ბუფეტისა იყო 261 მ. 74 კაპ.

იოსებ გუგუშვილი.

ლანჩ-ბაზარი. 7 მაის მოხდა ვ. ნ. ოდიოლავ ძის ინიციატორობით კრება (ახალ ბაზარში) სამკითხველოს შესახებ. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ვ. ნ. ოდიოლავაძე, მდივნათ მღ. ქ. ბოლქვაძე. დღიური წესრიგი იყო: სამკითხველოს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. ამავე განყოფილების გახსნა ლანჩის ერთ ნაწილში ეგრეთ წოდებულ სახალხო მინდორში. თავმჯდომარის წარმოთქმული სიტყვის შემდეგ იქნა არჩეული გამგეობა პ. ოდიოლავაძე, მ. შენგელია, ი. გვალია, ლადიმერი ბ. ელიავა. სარევიზიო კომისიაში. ილ. ბარამიძე და ლ. კვანტალიანი.

სამკითხველოს განყოფილების გახსნა კრებამ სასიხარულოთ მიიღო. ვლადიმერ ელიავამ ერთი წლით დაუთმო უფასოთ თავისი შენობა სამკითხველოს. ამავე კრებაზე თავმჯდომარის მოწოდებით იქნა მოგროვილი შემოწირულება, სადაც მოგროვდა 87 მ. 50 კ. რაზედაც გამგეობა დიდ მადლობას უხდის.

23 მაის ამავე სამკითხველოს გამგეობამ და ორიოდე პირის და სცენის მოყვარეთა დახმარებით იქნა გამართული წარმოდგენა (ახალ-ბაზარში). ხალხი ბლომათ დაესწრო. წმინდა მოგება დარჩა 172 მ. 10 კ. ამ ფულებიდან 20 მან. შესწირეს ლანჩ-ქვიტრის სამკითხველოს 10 მ. გაზ. „ერთობის“ რედ. და დანარჩენი კი 142 მ. 10 კ. ადგილობრივ (ახალ-ბაზრის) სამკითხველოს სასარგებლოთ გადადვეს.

ლანჩ-ქვენის (ახალ-ბაზრის) სამკითხველოს გამგეობა.

---

[*]) შემომწირველთა სია არ იბეჭდება.

საქარის საზოგადოება. 14 ივნისს მოხდა საქარის საზოგადოების კრება. კრების მიზანი იყო აერჩიათ ორი დელეგატი სრულიად კავკასიის გლეხთა ყრილობის დასასწრებლად. ვრცელი მოხსენების შემდეგ, რომელიც გააკეთა ამხ. პ. დ—ძემ წამოაყენეს კანდიდატურები. ხმის უმრავლესობით არჩეულნი იქმნენ: ამხ. ლადიკო ქათამაძე და არჩილ არაბიძე (ორივე ს.-დ—ბია).

კუჩინია.

საღ. ჯუმათი. (გურია). 28 მაისს, მოხდა ყველა ეზოლაურის საზოგადოების კრება. კრების უმთავრესი მიზანი იყო ხელ-ახალი აღმასრულებელი კომიტეტის წევრების და სასოფლო მსაჯულების არჩევა. თავმჯდომარემ კრების გახსნისას მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნისათვის. შემდეგ მოხდა არჩევნები კომიტეტის წევრებისა. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღეს როგორც მამაკაცებმა ისე დედაკაცებმა განურჩევლათ წოდებისა; ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა 7 კაცი. ერმილე ტუღუში, კოხტა აბხაზავა, მიშა პოლშინი, მირიან სალუქვაძე, ნესტორ ანთაძე, აპოლონ მუჯირინიძე და ყარამან ტუღუში. სასოფლო მსაჯულებათ: ს. ჩხარტიშვილი, რამინ აბხაზავა, სამსონ აბხაზავა, ონისიმე ჭყონია, დიმიტრი ჩხარტიშვილი და სილევან მიქაბერიძე.

ნარიმან.

გაზეთის სასარგებლოთ.

გიგზავნით ჩვენ წვლილს 20 მ. შეგროვილ ქართველ ჯარისკაცებში 2-ე საავადმყოფოს 5-ე თურქესტ. მარ. დივიზიაში, შემდეგ დარგების განაწილებლათ: 10 მ. თქვენ პატივც. გაზეთ „ერთობის“ ფონდიზა და 10 მ. ომში დახოცილთა ობლების სასარგებლოთ.

ამხანაგების მონდობილობით ზ. ნ. შაბურიშვილი და ა. ა. შარაშანიძე.

შეცდომის გასწორება. „ერთობის“ № 54 იყო გამოცხადებული: ნესტორ მესაძე, გიგზავნით 177 მ. და სხვა. უნდა იყოს: გაგრიდან გიგზავნით აქ შეგროვილ 177 მ. სიებს ვერ ვბეჭდავთ.

პარტიული სტამბის სასარგებლოთ.

სოფ. სამება. (გურია) გადმომცენ დროშის საყიდლათ 83 მ. 10 კაპ. ამავე სოფლისთვის. თბილისში შევაგროვე ამხანაგებში 82 მ. 50 კაპ. შედგა სულ 165 მ. 60 კ. დროშა დაჯდა 130 მ. 80 კ. ამავე სოფლის სამკითხველოსთვის ვიყიდე სხვადასხვა წიგნები 9 მ. 54 კ. 25 მ. და 26 კ. ამასთანავე გიახლებთ პარტიული სტამბის შესაძენ ფონდისათვის.

კოზმან დოლიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას უცხადებთ ქ. ქ. მიხეილ დონაძეს, რომელმაც 24 ივნისს ხვარბეთის საზოგადო კრებაზე მოაგროვა თავის ამხანაგ-ნაცნობთა შორის 24 მ. და 25 კ. აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და გამოიღეს თავიანთი წვლილი, ჯარისკაცთა სამკითხველოსათვის.

ამროსი დუმბაძე.

დაბა სამტრედიის ერთ მცირე წლოვან მოწაფეთა ჯგუფს ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობით ჩვენს სასარგებლოთ გაუმართავთ საბავშვო წარმოდგენა, რომლის შემოსავალი 83 მ. 11 კ. მივიღე. მადლობას უძღვნი ყველა მათ.

ილიკო ი. კობლეიშვილი.

მადლობას უცხადებთ, ილიკო ეფრემის ძე ფირცხალაიშვილს, რომელმაც კეთილი ინება და შემოგვწირა ასი მანეთი შემდეგის დაწესებულებების სასარგებლოთ: შუხუთის სოფლის სოც. დემ. ორგანიზაციას 25 მან., შუხუთის სოფლის მომრიგებელ სასამართლოს 45 მან., შუხუთის სამკითხველოს 10 მ., ზედა შუხუთის სამკითხველოს 15 მან., და რედაქცია „ერთობის“ ფონდის სასარგებლოთ 5 მან.

ღია წერილი ბ-ნ ვანო ბერძენიშვილს.

ბ-ნო ვანო, რადგანაც მედიატორეთა გადაწყვეტილება დაარღვიეთ, რომლებმაც ჩემთან გაგამტყუნეს და ათი თუმანი მოგისაჯეს გადასაცემად საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ, აგერ ხუთი თვე გადის და ჯერაც ყურს არ იბერტყავთ თანაც გვატყუებთ მეც და ჩვენ მედიატორებსაც; როცა შეგეკითხეთ—ვითომ უკვე გადავეცი საქველმოქმედო საზოგადოებისათვის. თუ მე ათასჯერ მომატყუე, განა ისიც შესძელი, რომ პატივცემულნი მედიატორენიც მოატყუე? განა ადამიანის ცბიერება ეგრე შორს წავა, როგორც თქვენ ცბიერობთ? ყველა ამისათვის კვლავ მოგიწოდებთ მოსჯილი ფული დაუყონებლივ გადაიხადოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საძაგელ ადამიანის სახელს დაიმსახურებთ.

იოსებ კალანდაძე.

ცნობები
ჯარის კაცების შესახებ.

ერასტო ფილიპეს ძე თავართქილაძე მსახურებდა კავკასიის მეორე მსროლელთა პოლკში ქვეითი მზვერავთა რაზმში, მეოთხე თვე არის მისგან ცნობა არ მაქვს. ვთხოვ ყველას, ვინც რამე იცის მაცნობოს შემდეგი მისამართით: Слобода-Холодная Батумской обтасти Филипу Таварткиладзе.

— ჯარისკაცი მათე ხოლამბერის ძე მახარაძე იწვა მე 151 [illegible] განყოფილების მე-22 რე „პალატკაში“, ვთხოვთ ზემო დასახელებულ საავადმყოფოს ფერშლებს და მსახურთ თუ რამე იციან მის შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: აკეთი, (გურია) ს. ვანი ერასტო ხუხუნაიშვილს.

— ჯარისკაცი კონსტანტინე მეგრელიშვილი მსახურობდა კაზვინში (სპარსეთში) „ზემსკი სოიუზის“, ცენტრალური უპრავლენიაში № 1. სანიტარნი კამანდაში. სამი თვეა მის შესახებ არაფერი ვიცით, თუ ვინმემ იცით მის შესახებ რამე გთხოვთ შეგვატყობინოთ ქ. თფილისში კახეთის რკინის გზის სამართველოში რაფიელ თარგამაძეს.

— ჯარის კაცი ნოე ესეს ძე ჭელიძე მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში, მე-4 ე კავკასიის ამხაზთა ბატალიონში მეექვსე ჯარის სამხედრო ტრანსპორტში, 1 ლ ვზვოდში ვთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: г. Батумъ Асатіановская ул. № 15 Семену Я Челидзе.

— ალექსანდრე სამსონის ძე ქელიფთარი გაგზავნეს ქ. თავრიზში 114 სათადარიგო პოლკში, გთხოვთ უმორჩილესათ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ ქ. ოზურგეთში ალექსი ორაგველიძეს.

— ჯარის კაცი ვასილ ივანეს ძე მოდებაძე მსახურობდა ქართველ ცხენოსან პოლკში ტელეფონისტათ, გთხოვთ ვინც რამე იცოდეს მის შესახებ გვაცნობოთ ამ მისამართით: г. Баку телеграфисту Георгію У. Модебадзе.

— ჯარის კაცი ერმილე ლუკას ძე შედია მსახურებდა სამხედრო რკინის გზაზე ერზერუმსა და სარაყამიშს შუა. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: სოფ. ბობოთი მარტვილის ნაწილი ნახუნაჩის საზოგადოება, ქუთ. გუბ. იოსებ შედია.

— ქალაქ დონის ნახიჩევანში 72 „ზვოდნი ევაკუაციონი გოსპიტალში“, 6 მაისს გარდაიცვალა ალექსანდრე ზაქარიას ძე ცერცვაძე, 646 ვოლინის დრუჟინის ჯარის კაცი (შორ. მაზ.) განსვენებულს ქონებია 93 მანეთი და 40 კ. მიბარებული მოწყალების დაზე, მაგრამ ეს ფული ჯერ არ აღმოჩნდა.

ჯ. კ. დათიკო გიორგის ძე კალანდაძე.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ
„სოციალ-დემოკრატ“-ზე
გაზეთის ფასი: მთელი წლით—15 მან., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ 40 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.
ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакція „Соціал-демократъ“, Тутку Гварамія. სხვა ადრესით გამოგზავ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
იუმორისტულ ჟურნალ
„ეშმაკის მათრახზე“
წლიური ფასი 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., 3 თვით 2 მ., თვეში 70 კ. ვისაც უნდა, რომ ჟურნალი პირველ იანვრიდან მიიღოს, მან ეხლავე უნდა გამოგზავნოს ფული შემდეგი მისამართით: თფილისი, ფოსტის ყუთი № 96, ს. თავართქილაძეს.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.